1090/3-77/22 2 09022022

1090/3-77/22
09-02-2022

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს

მოგესალმებით,

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი ნაწილისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, გთხოვთ, მომაწოდოთ ინფორმაცია:

2021 წლის 21 დეკემბერს მოგაწოდეთ წერილი (12418/3-77/21), რომლითაც ვითხოვდით ინფორმაციას სამომხმარებლო ფასების დათვლის მეთოდოლოგიის შესახებ, მათ შორის: საქართველოს რეგიონულ წერტილებში არსებული სავაჭრო ობიექტების ჩამონათვალს და მისამართებს, საიდანაც აგროვებთ ინფორმაციას სამომხმარებლო ფასებზე.

აღნიშნულ კითხვაზე თგვენგან მივიღეთ პასუხი (N 6-276), რომ ეს ინფორმაცია განკუთვნილია შიდა მოხმარებისთვის.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, პარლამენტის წევრის კითხვაზე დროული და სრული პასუხის გაცემა სავალდებულოა, თუ კითხვით გამოთხოვილი ინფორმაცია არ წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას.

იმ შემთხვევაში თუ, საქართველოს რეგიონულ წერტილებში არსებული სავაჭრო ობიექტების ჩამონათვალი და მისამართები, საიდანაც აგროვებთ მონაცემებს სამომხმარებლო ფასებზე, არ წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას, გთხოვთ მოგვაწოდოთ აღნიშნული ინფორმაცია წერილობით.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ალექსანდრე რაქვიაშვილი

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
National Statistics Office of Georgia
საქსტატი
GEOSTAT

300-6-2-202202151608

N 6-300 15/02/2022

საქართველოს პარლამენტის წევრს
ალექსანდრე რაქვიაშვილს

ბატონო ალექსანდრე,

სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში შემოსული თქვენი 2022 წლის 09 თებერვლის N1090/3-77/22 წერილის (საქსტატის რეგისტრაციის N338) პასუხად, დანართის სახით გიგზავნით 2022 წლის სამომხმარებლო ფასების გამოკვლევაში მონაწილე საცალო სავაჭრო და მომსახურების ობიექტების სიას.

იხილეთ დანართი.

პატივისცემით,

გოგიტა თოდრაძე

აღმასრულებელი დირექტორი

თბილისი, ს. დადიანის №30, 0180
ტელ: +995 32 236 72 10
ფაქსი: +995 32 236 72 13
ელ-ფოსტა: info@geostat.ge
www.geostat.ge